



თბილისის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის მნიშვნელოვანი  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ენა, თანამებრძოვა, ლიტერატურა

X

გამომცემლობა  
„ნაკადი“  
2005 წ.

თბილისის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის მნიშვნელოვანი  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ენა, თანამებრძოვა, ლიტერატურა

სამეცნიერო შრომათა კრებული

X



გამომცემლობა „ნაკადი“  
2005 წ.

**შინაგანი მეტყველება როგორც მონაბრივ-  
კულტურული ფანეზენი და მისი ტიპოლოგიზაციის  
პრიბლება**

ჩვენი კვლევის ობიექტი – შინაგანი მეტყველება – უკვე კარგა ხანია მოქცეულია როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ასევე ლინგვისტურად ორიენტირებული ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიის ინტერესთა სფეროში.

შინაგანი მეტყველების ტიპები, - რომელთაც წარმოადგენს ისეთი ცნობილი მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენები, როგორიცაა შინაგანი მონოლოგი, ცნობიერების ნაკადი და ა.შ. – დასავლური კულტურის შემადგენელ ნანილად ძირითადად მხატვრული ნანარმოებების გამოქვეყნების შემდეგ იქცა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ შინაგანი მეტყველების ტიპებით თავდაპირველად სწორედ ლიტერატურათმცოდნეობა დაინტერესდა. შემდგომში კი ეს ფენომენი მოექცა ისეთი ინტერდისციპლინარული დისციპლინის ყურადღების ცენტრში, როგორიცაა ტექსტის ინტერპრეტაცია. ეს უკანასკნელი შინაგანი მეტყველების კვლევის პროცესში ითვალისწინებს როგორც ლინგვისტიკურ, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის მონაცემებს და თავადაც სწორედ ამ ორი მონოდისციპლინარული სფეროს მიჯნაზე იმყოფება.

ნინამდებარე სტატიაში ჩვენ არა გვაქვს მიზნად დასახული წარმოვადგინოთ შინაგანი მეტყველებისა და მისი ცალკეული ტიპების მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური მონაცემების სინთეზი. ცჩვენი ყურადღება მიყრობილია შემდეგ მნიშვნელოვან პრობლემაზე:

შინაგანი მეტყველების როგორც ენობრივი ფენომენის და ასევე როგორც მხატვრული ლიტერატურის ფაქტის ანალიზი, რომელიც მოცემულია მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებში, ხშირ შემთხვევაში განსხვავებული, ურთიერთგანსხვავებული სახით არის წარმოდგენილი.

აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიგვაჩნია შინაგანი მეტყველების ტიპოლოგიზაციის პრობლემის გათვალისწინება, რაც, როგორც ვნახავთ, ფუნდამენტურ გადასინჯვასა და შემდგომ კვლევას საჭიროებს. ამასთანავე, ჩვენს მიზანს წარმოადგენს შინაგანი მეტყველების არა მხოლოდ როგორც მხატვრულ-ენობრივი ფენომენის ანალიზი, არამედ მისი ზოგადად ხედვა მხატვრული კულტურის კონტექსტში.

ზემოთ ხსენებული ამოცანების შესრულება, ცხადია, შეუძლებელია განხორციელდეს მონოდისციპლინარული კვლევის ფარგლებში და ჩვენი კვლევაც, შესაბამისად, მიღებს ინტერდისციპლინარულ ხასიათს. შინაგანი მეტყველების პრობლემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სტატიაში ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ცალკეულ ფენომენთა კულტუროლოგიურ კონტექსტში აღქმის ფენომენცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკვლევი კერძოდ ვიწრო დისციპლინარული მიდგომის, ანუ ფენომენებისადმი ვიწრო დისციპლინარული მიდგომის, ანუ პერმეტიზმის გადალახვას (1,62) და, ოკრივცუნის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვადასხვა მხატვრულ მოვლენათა ფართო ჰუმანიტარულ პრობლემათა პრიზმით გააზრებას” (2,3).

შინაგანი მეტყველების როგორც მხატვრულ-კულტურული ფენომენის ამგვარი პრიზმით გააზრება და კვლევა თავის თავში მართლაც დიდ „სიცართოვეს” იტევს. ამ ფენომენის კვლევამ სხვადასხვა მიმართულება შეიძლება მიიღოს იმისდა მიხედვით, თუ რომელი ასპექტი იქნება განმსაზღვრელი მისი შინაგანი სტრუქტურის მეტ-ნაკლები სისრულით გამოსავლენად:

ა) შინაგანი მეტყველების ტიპები მხატვრულ ლიტერატურაში მოცემულია ენობრივ-ტექსტურიზი გზით, ანუ ხდება მათი „გატექსტება”. ამდენად, ბუნებრივია, რომ შინაგანი მეტყველების როგორც ტექსტის ტიპის კვლევა თანდათან სულ უფრო ინტენსიურად მოექცეს თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის კვლევის ორბიტში;

ბ) როგორც ცნობილია, შინაგანი მეტყველება ფსიქოლოგიური პროზისთვისაა დამახასიათებელი. მასში წარმოდგენილია პერსონაჟის ფსიქიკური პროცესები, ე.ნ. „შინაგანი ადამიანის” ფსიქიკური არსებობა და

ფუნქციონირება” (3,8). შესაბამისად, შინაგანი მეტყველების ცალკეული ტიპების კვლევისას შეუძლებლად მიგვაჩნია გათვალისწინებულ არ იქნას ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ფსიქოლოგიას უნდა ენიჭებოდეს.

მაგრამ კვლევის ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით წარმართვამდე აუცილებლად მიგვაჩნია გავიხსენოთ შინაგანი მეტყველების როგორც ტერმინისა და ცნების არსი და, შესაბამისად, მოვახდინოთ იმ ტიპოლოგიის გადასინჯვა და რამდენადც შესაძლებელია ხელახლა შევსება, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის ინტერპრეტაციის და ლიტერატურათმცოდნებით თეორიებში განსხვავებული, ხშირად კი ურთიერთდაპირისპირებული სახით არის წარმოდგენილი.

მეტყველების შესწავლის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს მისი დიქტომიზაცია, რაც ნიშნავს მის „შინაგან” და „გარეგან” მეტყველებად დაყოფას. ამგვარ მცდელობას ადგილი აქვს ვ.კუხარენკოს ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიაში. მასში ნათქვამია, რომ ნებისმიერი მხატვრული ტექსტი ორი ძირითადი სამეტყველო პარტიისაგან შედგება: ავტორისეული და პერსონაჟისეული. პერსონაჟის სამეტყველო პარტია არ არის ერთგვარი და მასში შეიძლება გამოიყოს პერსონაჟის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მეტყველება. „ლიტერატურის არსებობისა და ფუნქციონირების ყველა ეტაპზე, შემოქმედს აინტერესებდა არა მხოლოდ ის, თუ რას აკეთებს ან ამბობს პერსონაჟი, არამედ ისიც, რასაც ის ფიქრობს” — ამბობს ავტორი (4,161). იმისათვის, რომ მნერალმა ბუნებრივად, „შეუნილბავად” წარმოაჩინოს პერსონაჟის ფიქრთა დინება, მისი ფსიქიკური პროცესების მოძრაობა, იგი თავად მაქსიმალურად ცდილობს „განზე გადგეს” და სიტყვა თავად პერსონაჟს გადასცეს. ავტორის მთლიან ან თითქმის მთლიან ჩაურევლობას პერსონაჟის შინაგანი მეტყველების ნაკადში მივყავართ იმ მხატვრულ მოვლენამდე, რომელმაც „ცნობიერების ნაკადის” სახელნოდება მიიღო (4,163). მაგრამ ის მხატვრული მოვლენა, რასაც ცნობიერების ნაკადი ენოდება, ავტორის აზრით, არ არის პერსონაჟის აზრობრივი ქმედების გამოხატვის ერთადერთი საშუალება. როგორც ცნობილია,

ტერმინი „ცნობიერების ნაკადი” და „შინაგანი მონოლოგი” გარკვეული დროის მანძილზე ერთმანეთის სინონიმებად იხმარებოდნენ, რამაც დიდი გაუგებრობა გამოიწვია ლიტერატურათმცოდნებაში, მიუხედავად იმისა, რომ მოვციანებით მეტ-ნაკლებად დაზუსტდა ამ ორი ფენომენის ტერმინოლოგიური შინაარსი (თუმცა მათი ერთმანეთისაგან ბოლომდე ცხადად გამიჯნვა დღესაც დიდ სირთულეს წარმოადგენს, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ), ვ-კუხარენკო მიიჩნევს, რომ ისინი ვერ მოიცავენ იმ მხატვრულ სივრცეს, რომელიც პერსონაჟის „აზრობრივ ქმედებას” გადმოსცემს. აქედან გამომდინარე, იგი ამგვარ გამოსავალს გვთავაზობს: „პერსონაჟის აზრობრივი ქმედების მხატვრულად გამოხატვის გადმოსაცემად კეთილგონივრული იქნება საერთო ტერმინის შემოტანა, რომელსაც შეიძლება შინაგანი მეტყველება ვუწოდოთ” (4,163). თავად შინაგანი მეტყველების ფარგლებში კი იგი ოთხ ტიპს გამოყოფს:

- 1) ცნობიერების ნაკადი, რომელსაც იგი შინაგანი მეტყველების „უკიდურეს” ფორმას უწოდებს;
- 2) შინაგანი მონოლოგი, რომელიც ავტორის აზრით, არის ძირითადი ფორმა, რომლითაც წარმოადგენილია შინაგანი მეტყველება;

3) ე. ჩ. „მცირე ჩართვები” (малые вкрапления), რომლებიც პერსონაჟის მყისიერი (ჩვეულებრივ ემოციური) რეაქციის გამოხატვას ემსახურებიან. და ეს მხატვრული მოვლენა სწორედ ამ ნიშნით ემიჯნება შინაგან მონოლოგს, რომელიც პერსონაჟის ვრცელ შინაგან ემოციურ მსჯელობას წარმოადგენს;

4) ავტოდიალოგი, რომელიც უმეტესწილად კითხვა-პასუხის სახით არის წარმოადგენილი მხატვრულ ტექსტში და მაშინ გამოიყენება, როდესაც შინაგანი მონოლოგის განვითარების რაღაც ეტაპზე „პერსონაჟი ცდილობს საკუთარ მტანჯველ ეჭვებში გარკვევას” (4,169).

ზემოთ წარმოადგენილი ტიპოლოგიის ავტორი მიიჩნევს, რომ ყველაზე მარტივი „მცირე ჩართვების” ამოცნობაა მხატვრულ ტექსტში, რადგანაც ტექსტში წარმოადგენილი მომიჯნავე მონაკვეთებისაგან ისინი ბრჭყალებით, ტირეთი ან იშვიათად მძიმეებით გამოიყოფა. როგორც ვხედავთ,

სირთულეს არც ავტოდიალოგის ამოცნობა უნდა წარმოადგენდეს მხატვრულ ტექსტში, ვინაიდან მას კითხვა-პასუხის ფორმა აქვს. რაც შეეხება ტერმინებს „შინაგანი მონოლოგი” და „ცნობიერების ნაკადი”, ისინი, როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებული სახით არიან წარმოადგენილი როგორც უშუალოდ ტექსტის ინტერპრეტაციის სხვაასხვა ავტორთა თეორიებში, ასევე ლიტერატურათმცოდნეობაში.

„ლიტერატურათმცოდნეობით ლექსიკონში” შინაგანი მონოლოგი განისაზღვრება როგორც პერსონაჟის საკუთარი თავისადმი მიმართული გამონათქვამი, რომელიც მისი შინაგანი ფსიქოლოგიური პროცესების უშუალო ასახვას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, ტერმინები „შინაგანი მონოლოგი და „ცნობიერების ნაკადი” სინონიმური ხასიათისაა. უფრო მეტიც, მოცემულ სტატიაში დაკონკრეტებულია, რომ ცნობიერების ნაკადი შინაგანი მონოლოგის „ზღვრულ შემთხვევას, უკიდურეს ფორმას წარმოადგენს” (5,292).

დაახლოებით იგივე აზრია გამოთქმული ჯ. კადონის „ლიტერატურულ ტერმინთა და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიის ლექსიკონში”, სადაც არ არის ზღვარი გავლებული „ცნობიერების ნაკადსა” და „შინაგან მონოლოგს” შორის (6,919).

მეტად საინტერესო მოსაზრებაა წარმოადგენილი რ. პამფილის ცნობიერების ნაკადის ლიტერატურათმცოდნეობით თეორიაში (3, 23-32), სადაც ნათქვამია, რომ არ არსებობს თავად ცნობიერების ნაკადის ტექნიკა, არსებობს რამდენიმე ფორმა, რომლითაც იგი გადმოიცემა. ცნობიერების ნაკადის გადმოსაცემ ძირითად ფორმად კი იგი შინაგან მონოლოგს მიიჩნევს, რომელსაც ორ ტიპად ყოფს: პირდაპირ შინაგან მონოლოგად (direct interior monologue) და არაპირდაპირ შინაგან მონოლოგად (indirect interior monologue). პირდაპირი შინაგანი მონოლოგის კლასიკურ მაგალითად იგი მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც ავტორი აბსოლუტურად „განზეა გამდგარი”, წინა პლანზე წამონეულია პერსონაჟის ფსიქიკის სიღრმისეული ფენები, რომლებიც არაცნობიერს ძალზედ ახლოს ესაზღვრებიან, ადგილი აქვს აზრთა „ნახტომისებრ” მონაცვლეობას, რასაც ძირითადად თავისუფალი ასოციაციები აკონტროლებენ.

ამგვარი ტიპის მონოლოგის კლასიკურ მაგალითს, მისი აზრით, ნარმოადგენს ზოგიერთი ფრაგმენტი ჯ.ჯონისის „ულისედან”. ასე მაგალითად:

Ive my mothers eyes and figure anyhow he always said theyre so snotty about themselves some of those cads he wasn't a bit like that he was dead gone on my lips let them get husband first thats fit to be looked at and a daughter like mine or see if they can excite a swell with money that can pick and choose whoever he wants like Boylan to do it 4 or 5 times locked in each others arms or the voice either I could have been a prima donna only I married him comes looooves old deep down chin back not too much...(J.Joyce, "Ulysses", p 684).

ხოლო არაპირდაპირი შინაგანი მონოლოგის მაგალითებად იგი მიიჩნევს ისეთ ფრაგმენტებს, სადაც ავტორი, მართალია, სიტყვას თავად პერსონაჟს გადასცემს და მკითხველს პერსონაჟის ფსიქიკასთან მარტო სტოვებს, მაგრამ მისი „თანადამსწრეობა” მაინც იგრძნობა და იგი ხახამოსვებით კომენტატორის როლში გამოდის. რაც შექება პერსონაჟების ფიქრთა ნაკადს, არაპირდაპირი შინაგანი მეტყველების შემთხვევაში, იგი სადღაც ცნობიერს ესაზღვრება და არა ფსიქიკის არაცნობიერ სიღრმისეულ ფენებს, როგორც ეს პირდაპირი შინაგანი მეტყველების შემთხვევაში ხდება. ასე მაგალითად:

Mrs Dalloway said she would buy the flowers herself.

For Lucy had her work cut out for her. The doors would be taken off their hinges; Rumplemayer's men were coming. And then, thought Clarissa Dalloway, what a morning – fresh as if issued to children on a beach.

What a lark! What a plunge! For so it had always seemed to her when, with a little squeak of the hinges, which she could hear now, she had burst open the French windows and plunged at Bourton into the open air. How fresh, how calm, stiller than this of course, the air was in the early morning; like the flap of a wave; the kiss of a wave, chill and sharp and yet (for a girl of eighteen as she then was) solemn, feeling as she did, standing there at the open window, that something awful was about to happen; looking at the flowers, at the trees with the smoke winding off them and the rooks rising, falling; standing and looking until Peter Walsh said, “Musing among the vegetables?” – was that it? – “I prefer men to cauliflowers” – was

that it? He must have said it at breakfast one morning when she had gone out to the terrace – Peter Walsh. He would be back from India one of these days... (V. Woolf, “Mrs Dalloway”, p.5).

ცნობიერების ნაკადის და შინაგანი მეტყველებისადმი მიძღვნილ სტატიაში ჯ.მეპპაში აღნიშნავს, რომ შინაგანი მონოლოგი ცნობიერების ნაკადის ტექნიკის (stream of consciousness writing) ერთ-ერთი სახეა. ავტორის აზრით, შინაგანი მონოლოგი პერსონაჟის ფიქრების ნაკადს ნარმოადგენს ჩუმი შინაგანი მეტყველების (silent interior speech) ფორმით, რომელსაც იგი „ვერბალიზებული ფიქრების ნაკადს” უწოდებს (7).

კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთება შინაგანი მეტყველების ამ ორი ტიპის — ცნობიერების ნაკადისა და შინაგანი მონოლოგის — ერთმანეთისაგან გამიჯნვის პრობლემა, თუ ზემოთ ნარმოდგენილ ლიტერატურათმცოდნეობით მონაცემებს შევუდარებთ ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიის მონაცემებს. ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ ნიგნში „ტექსტის ინტერპრეტაცია”, ვ-კუხარენკო აღნიშნავს, რომ „ჯ.ჯონისის რომანი „ულისეს” ცნობიერების ნაკადის დემონსტრირებას ახდენს მთელი თავისი გამოვლინებით — დაწყებული ერთი აბზაციდან, დამთავრებული ფინალური ბოლო 46-გვერდიანი ნაწილის ჩათვლით, რომელიც გამოყოფილია ნინამდებარეთხობისაგან და ტექნიკურად ერთ ნინადადებას (მასში არც წერტილებია და არც მათი შემცველი ნიშნები) და ერთ აბზაცს ნარმოადგენს” (4, 165). ცნობიერების ნაკადის საილუსტრაციო მაგალითს იგი სწორედ „ულისეს” ხსენებული ბოლო ნაწილიდან გვთავაზობს:

.... . if ever he got anything really serious the matter with him its much better for them go into a hospital where everything is clean but I suppose Id have to bring it into him for a month yes and then wed have a hospital nurse next thing on the carpet have him staying there till they throw him out or a nun maybe like the smutty photo he has shes as much a nun as Im not yes because theyre so weak and pulling when theyre sick they want a woman to get well if his nose bleeds youd think it was O tragic and that dying-looking one off the south circular when he sprained his foot at the choir party at the

sugarloaf Mountain the day I wore that dress Miss Stack bringing him flowers the worst old ones she could find at the boottom of the basket anything at all to get into a mans bedroom . . .(J.Joyce, "Ulysses").

ჯ.ჯოისის „ულისეს“, ცხადია, ლიტერატურათმცოდნეობით თუ ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიებში „ცნობიერების ნაკადის“ ამსახველ ნაწარმოებად არის მიჩნეული. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ლიტერატურათმცოდნეობაში ამ მონაკვეთთან დაკავშირებით ხშირად ხდება ტერმინ „ცნობიერების ნაკადისა“ და „შინაგანი მონოლოგის“ დამთხვევა. ხოლო, რაც შეეხება „ულისეს“ ბოლო ნაწილს, რომელსაც ვ.კუხარენკო შინაგანი მეტყველების ისეთ „უკიდურეს ფორმას“ მიაკუთვნებს, როგორიცაა ცნობიერების ნაკადი, რ. ჰამფრის ლიტერატურათმცოდნეობით თეორიაში, როგორც ვნახეთ, პირდაპირი შინაგანი მონოლოგის კლასიკურ შემთხვევად არის მიჩნეული.

შინაგანი მეტყველების კიდევ ერთ განსხვავებულ ტიპოლოგიზაციას ვხვდებით ა.ი.დომაშნევის, ი.პ.შიმკინას და ე.ა.გონჩაროვას ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიაში. მასში ადგილი აქვს არა მხოლოდ მეტყველების დიქოტომიზაციას — მეტყველების შინაგან და გარეგან მეტყველებად დაყოფას — არამედ თავად შინაგანი მეტყველების დიქოტომიზაციის ფაქტს, რომელიც ხსენებულ თეორიაში ორი ტიპით არის ნაწარმოდგენილი:

1) პირდაპირი შინაგანი მეტყველება (რომელიც სამეტყველო ჰარტიათა თვალსაზრისით მხოლოდ პერსონაჟისეულია);

2) არასაკუთრივ პირდაპირი მეტყველება (სადაც ადგილი აქვს ავტორისა და პერსონაჟის ხმათა „შერწყმას“, მათ კონტამინაციას) (8, 111-113).

როგორც ვხედავთ, ზემოთ ნაწარმოდგენილი თვალსაზრისი სრულიად განსხვავდება ვ.კუხარენკოსეული ინტერპრეტაციისაგან, სადაც არასაკუთრივ პირდაპირი მეტყველება არ მიეკუთვნება შინაგანი მეტყველების ტიპებს და სადაც შინაგანი მეტყველება სამეტყველო ჰარტიათა თვალსაზრისით არაორაზროვნად პერსონაჟისეულია და არა ავტორისეული.

შინაგანი მეტყველების პრობლემის კიდევ ერთ განსხვავებულ და მეტად საინტერესო ინტერპრეტაციას ვხვდებით კ. დოლინინის ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიაში. ავტორი ნაცვლად „შინაგანი მეტყველებისა“, მიმართავს ტერმინს „ცნობიერების ნაკადით“ მეტყველება და აღნიშნავს, რომ ამგვარი მეტყველება რადიკალურად განსხვავდება ყველა სხვა ტიპის თხრობისაგან. უკლებლივ ყველა თხრობის ტიპი, რომელიც მას აქვს ნაწარმოდგენილი „ცნობიერების ნაკადით“ მეტყველებისას შემდეგ ტრანსფორმაციას განიცდიან: ავტორის თხრობა იცვლება პერსონაჟი მთხრობელის მეტყველებით — „ყოვლისმცოდნე და ყველგან მყოფ ავტორს“ „სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ თხრობა დაუქვემდებაროს პერსონაჟის ან პერსონაჟთა სუბიექტურობას“ (9, 206). მაგრამ, ამასთანავე ის, რაც პერსონაჟი მთხრობელის ტიპისთვის არის დამახასიათებელი, შეიმჩნევა „ცნობიერების ნაკადით“ მეტყველების შემთხვევაშიც: პერსონაჟი პირველ პირში მეტყველებს. როგორც გვახსოვს, ასეთ შემთხვევაში, ვ.კუხარენკო პერსონაჟის მეტყველებაში გამოყოფს გარეგან და შინაგან მეტყველებას, კ.დოლინინი კი ამგვარად ასხვავებს ერთმანეთისაგან „ჩვეულებრივ“ პერსონაჟისეულ მეტყველებასა და „ცნობიერების ნაკადით“ მეტყველებას: თუ „ჩვეულებრივ“ პერსონაჟისეული მეტყველება გულისხმობს ნაწარმოთქმულ მეტყველებას — ზეპირ ან წერილობით ამბავს, „ცნობიერების ნაკადით“ მეტყველებისას პერსონაჟი აფიქსირებს „აზრის უმ მასალას“. აქედან გამომდინარე, როგორც კ.დოლინინი ამბობს: „სახეზეა არა მეტყველების სუბიექტი, არამედ ცნობიერების სუბიექტი“ (9, 207). მაშასადამე, „ცნობიერების ნაკადით“ მეტყველება რადიკალურად განსხვავდება ნებისმიერი სხვა ტიპის მეტყველებისაგან, ვინაიდან „ცნობიერების ნაკადის სუბიექტმა“, ანუ „ფსიქიკის სუბიექტმა“, არ უწყის მომავლის შესახებ, იგი მუდამ აწმყობია. მკითხველი თითქოს პირდაპირ სინქრონულ რეპორტაჟს იღებს პერსონაჟის ფსიქიკაში ნამიერად ნაწარმოქმნილი შინაარსის შესახებ (რომელიც, შესაძლოა, ნაწარმოქმნიდან მოდიოდეს)“ (9, 207). აქედან გამომდინარე, როგორც იგი მიიჩნევს, ფაბულის მოქმედება, რომელიც

ნებისმიერ ნაწარმოებში კონფლიქტურობა ახასიათებს, „ცნობიერის ნაკადით” მეტყველების შემთხვევაში ან უკანა პლანზეა გადანაცვლებული, ან საერთოდ არ არსებობს: სახეზეა მხოლოდ პერსონაჟის სუბიექტური ნინაცნობიერის დინამიზმი. „სიუჟეტის მთლიან, ან თანმიმდევრულ დაქვემდებარებას პერსონაჟის თვალსაზრისისათვის, მივყავართ იმასთან, რომ ფსიქიკა თავად განაგებს ფაბულას ისე, რომ ფსიქიკის („შინაგანი კინოს”) როგორც ფრანგი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ა. ბერგსონი ამბობდა, შინაარსის გაშლა დროში, არსებითად ერთადერთ მოვლენად იქცევა, რასაც ტექსტი მოვითხოვ (9,207).

სტატიის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შინაგანი მეტყველების როგორც ენობრივი ფენომენის, ასევე როგორც ლიტერატურული ფაქტის ანალიზი აუცილებლად საჭიროებს შინაგანი მეტყველების ტიპოლოგიზაციის პრობლემის გადახედვას, რაც ტექსტის ინტერპრეტაციის და ლიტერატურატმცოდნების თეორიებში განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი. შინაგანი მეტყველების ზემოთ წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპოლოგიზაციები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ისინი ფუნდამენტურ ანალიზს საჭიროებენ. შინაგანი მეტყველების როგორც მხატვრულ-კულტურული ფენომენის არსის და სტრუქტურის განსაზღვრა მოცემულ ტიპოლოგიზაციებთან ერთად უნდა მოხდეს შემდეგ ამოცანათა ეტაპობრივი გადაჭრის გზით:

1) როგორც ცნობილია, შინაგანი მეტყველება არ არის გათვლილი კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობის მისაღებად. იგი თვიმიმართულ ხასიათს ატარებს (4.). მაშასადამე, მეტყველების ამ ტიპის სრულიად განსაკუთრებული ბუნების გამო, აუცილებელია ზედმინებითი სიზუსტით გათვალისწინებულ იქნას კომუნიკაციური ლინგვისტიკის პრინციპები;

2) უკვე აღვნიშნეთ, რომ შინაგანი მეტყველება სპეციფიკურად ფსიქოლოგიური პროზისთვისაა დამახასიათებელი. ამდენად, ამ ფენომენის შინაგანი სტრუქტურის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ფსიქოლოგიას უნდა ენიჭებოდეს კვლევისას;

3) შინაგანი მეტყველება გვხვდება მხატვრული ტექსტის ფარგლებში, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ ეკუთვნის კონკრეტულ კულტურულ პარადიგმას. სტატიის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შინაგანი მეტყველება და კერძოდ კი, მისი ცალკეული ტიპები, როგორიცაა „შინაგანი მონოლოგი”, „ცნობიერების ნაკადი” და ა.შ. მხატვრული კულტურის შემადგენელ ნაწილად სწორედ მოდერნისტული მხატვრული წარმომებების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი. აქედან გამომდინარე, შინაგანი მეტყველების არსის, სტრუქტურის და ტიპოლოგიის დასადგენად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას იმ ეპოქალური კულტურის თავისებურებები, რომლის ნიაღშიც წარმოიშვა ეს ფენომენი.

მიგვაჩინა, რომ მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ამოცანათა ეტაპობრივად გადაჭრის შედგად შესაძლებელია შინაგანი მეტყველება ზოგადად, ხოლო კერძოდ მისი ცალკეული ტიპი, გამოკვლეულ იქნას როგორც ენობრივ-მხატვრული ფენომენი და ამასთანავე, მოხდეს მისი განხილვა მხატვრული კულტურის მთლიანურ კონტექსტში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თევდორაძე ნ. — „მხატვრული კომუნიკაციის დონეები სტრუქტურა და შინაგანი მეტყველება”, ენა და კულტურა, №2, 2005.
2. Кривцун О.А. – Искусство нового времени, Санкт- Петербург, «Алетея», 2000. 3. Humphrey R. – Stream of Consciousness in the Modern Novel, Barkley and Los Angelos, University of California Press, 1968.
4. Кухаренко В.А.- Интерпретация текста, М., «Просвещение»,
5. Литературный Энциклопедический Словарь, М., «Советская энциклопедия», 1987
6. Cuddon J.A. – Literary Terms and Literary Theory, Penguin Books, 1991.
7. Mepham John, The Literary Encyclopedia, Kingston University, 2003.

8. Долинин К.А. – Интерпретация текста, М., «Просвещение», 1985.
9. Домашнев А.И.- Интерпретация художественного текста, М., «Просвещение», 1989.
10. Joyce J. - Ulysses, London, Penguin Books, 1960.
11. Woolf V. - Mrs.Dalloway, Penguin Books, 1996.

Nino Tevdoradze

### **Interior Speech as a linguo-cultural phenomenon and the problem of its typology**

#### **Summary**

The paper deals with the problem of typology of Interior Speech, i.e. the phenomenon in regard with which opinions differ in existeng special literature.

In an attempt to define the typology of interior speech in general, and in particular each separate type of it, the author finds it important to take into account the history of the studies connected with this phenomenon in general, as well as with different types of interior speech (e.g. interior monologue, stream of consciousness, etc.).

The author also intensifies the fact, that in order to investigate interior speech as a linguo-cultural phenomenon, further research should assume interdisciplinary character.